დანართი 1

დამტკიცებულია: ბრ. #07/01-29, 25/06/2024

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის აკადემიური საქმიანობის წახალისების დებულება

თბილისი

2024

მუხლი 1. საგანი და მოქმედების სფერო

1.1. წინამდებარე დებულების მიზანია, უზრუნველყოს შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის (შემდგომში ,,უნივერსიტეტი“) აფილირებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობების ანაზღაურება, ხელი შეუწყოს მათ პროფესიულ განვითარებასა და წაახალისოს უნივერსიტეტში კვლევის ზოგადი დონის გაუმჯობესება.

1.2. დებულება ასევე ადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციული, აკადემიური, მოწვეული პერსონალის, დოქტორანტების და მაგისტრანტების მიერ უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიების ანაზღაურების წესს.

მუხლი 2. შემოკლებები

ა) SCI - სამეცნიერო ციტირებული ინდექსი;

ბ) SSCI - სოციალური სამეცნიერო ციტირებული ინდექსი;

გ) AHCI - სახელოვნებო და ჰუმანიტარული ციტირებული ინდექსი;

დ) ISBN - წიგნის საერთაშორისო სტანდარტული ნომერი

დ) სამსახური - კვლევის ხელშეწყობის და პროექტების მართვის სამსახური.

მუხლი 3. ზოგადი დებულებები

3.1 სამეცნიერო შრომის (სტატია/საკონფერენციო მასალა, წიგნი/წიგნის თავი, მთარგმნელობითი სამუშაო), სარედაქციო სამუშაოსა და გრანტის მოზიდვისათვისა და დოქტორანტურის შემდგომ კვლევით პროექტში მონაწილეობისათვის უნივერსიტეტის მიერ გაიცემა ანაზღაურების თანხა.

3.2 წინამდებარე მუხლის 3.1 პუნქტში მითითებული თანხის მისაღებად, აუცილებელია, შესაბამისი აქტივობა მიეკუთვნოს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს.

3.3 სამეცნიერო საქმიანობის წახალისებისთვის აუცილებელია კვლევა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის სამეცნიერო და სასწავლო მიმართულებებს.

3.4 წახალისების თანხის გაცემის დროისათვის განმცხადებელი უნდა იყოს უნივერსიტეტთან შრომით ურთიერთობაში.

3.5 წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული აქტივობების ანაზღაურების ტარიფები მოცემულია რექტორის ბრძანებით, რომლითაც განისაზღვრება თითოეული სამეცნიერო აქტივობის ტარიფი.

3.6 წინამდებარე მუხლში განსაზღვრული აქტივობების ანაზღაურების გაცემის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაზე პასუხისმგებელი ერთეულია კვლევის ხელშეწყობის და პროექტების მართვის სამსახური ფინანსური დეპარტამენტის ჩართულობით.

3.5 თუ პუბლიკაციას ჰყავს თანაავტორი, ანაზღაურების თანხა გადანაწილდება თანაბრად, იმ შემთხვევაში თუ ყველა თანაავტორი აფილირებულია შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში.

3.5.1. იმ შემთხვევაში, თუ თანაავტორი არაა აფილირებული შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში, მის წილ ასანაზღაურებელ თანხას, თანაბრად მიიღებენ მხოლოდ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტთან აფილირებული თანაავტორები.

3.5.2 რექტორის ბრძანებით, სადაც განსაზღვრულია სამეცნიერო აქტივობების ტარიფები, კვლევითი ნაშრომის დონის მიხედვით განსხვავებულია ანაზღაურების ტარიფი. დონის განსაზღვრა ხდება იმ ჟურნალის ინდექსაციის, საერთაშორისო რანჟირების/რეიტინგის მიხედვით, სადაც ქვეყნდება აღნიშნული ნაშრომი. დონეების განსაზღვრაზე პასუხისმგებელი ერთეულია კვლევის ხელშეწყობის და პროექტების მართვის სამსახური.

მუხლი 4. სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობისათვის დაფინანსების მიღების წესი

4.1 სამეცნიერო ღონისძიების (სიმპოზიუმი, კონფერენცია, კონგრესი, ტრენინგი, პანელი და ა.შ.), მონაწილეს სრულად ან ნაწილობრივ აუნაზღაურდება მონაწილეობის ხარჯები, კვლევის ხელშეწყობის და პროექტების მართვის სამსახურისადმი წინასწარი წერილობითი მოთხოვნისა და უნივერსიტეტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

4.2 წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის, ონლაინ სამეცნიერო ღონისძიებების ფარგლებში განხორციელებული აქტივობებიც მიიღება მხედველობაში და კვლევის ხელშეწყობის და პროექტების მართვის სამსახურისადმი წინასწარი წერილობითი მოთხოვნისა და უნივერსიტეტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე სრულად ან ნაწილობრივ ანაზღაურდება ღონისძიებაში მონაწილეობის თანხა.

4.3 სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის დაფინანსება განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მონაწილე წარადგენს მოხსენებას პირადად და მისი სტატია გამოქვეყნდება კონფერენციის შესაბამის კრებულში.

4.3.1 სამეცნიერო ღონისძიების დასრულების შემდეგ, მონაწილემ კვლევის ხელშეწყობის და პროექტების მართვის სამსახურს უნდა წარუდგინოს შესაბამისი დოკუმენტები, რომელიც ადასტურებს მის მონაწილეობას სამეცნიერო ღონისძიებაში.

4.3.2 ღონისძიების შემდეგ, თუ მონაწილე არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტაციას ან/და არ დასწრებია სამეცნიერო ღონისძიებას პირადი მიზეზების გამო, იგი ვალდებულია დააბრუნოს მიღებული თანხა.

მუხლი 5. სტატიის გამოქვეყნებისათვის და წიგნის გამოცემისთვის ანაზღაურების მიღების წესი

5.1 ავტორი მიმართავს კვლევის ხელშეწყობის და პროექტების მართვის სამსახურს გამოქვეყნებული ნაშრომის ანაზღაურების მისაღებად, სამსახურს წარედგინება ვებ-გვერდის ელექტრონული ბმული და ამობეჭდილი სტატია, რის შემდეგადაც სამსახური ამოწმებს ჟურნალის შესაბამისობას ავტორის მიერ მითითებულ სამეცნიერო ინდექსთან, საერთაშორისო რანჟირებასთან/რეიტინგთან.

5.2 კონფერენციის შედეგად გამოქვეყნებული ნაშრომი, რომელიც უკვე დაფინანსებულია უნივერსიტეტის მიერ, არ ექვემდებარება დამატებით დაფინანსებას.

5.3. საკონფერენციო მასალებში გამოქვეყნებული ნაშრომის ვრცელი/გაუმჯობესებული ვარიანტი არ ანაზღაურდება.

5.4. წიგნის გამოცემა დაფინანსდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ წიგნს აქვს ISBN ნომერი;

5.5.თუ წიგნი გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ, მხარეებს შორის იდება სალიცენზიო ხელშეკრულება.

5.6. თუ წიგნი გამოქვეყნებულია სხვა გამომცემლობის მიერ, მისი დაფინანსებისთვის აუცილებელია უნივერსიტეტის რეკვიზიტების მითითება;

5.7. თუ წიგნის ბეჭდვა ხდება კომერციალიზაციის მიზნით, უნივერსიტეტსა და ავტორთა შორის მოხდება დამატებითი შეთანხმება ფინანსური პირობებისა და მხარეთა უფლება - მოვალეობების განსაზღვრის მიზნით.

5.8. სტატიის გამოქვეყნებისთვის და წიგნის გამოცემისთვის ტარიფები განსაზღვრულია რექტორის ბრძანებით.

მუხლი 6. სამეცნიერო ჟურნალის დაფინანსება

6.1 შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალის ყოველი გამოცემული ნომრისთვის რედაქტორის/თანარედაქტორის, ასევე რედაქტორის თანაშემწის ტარიფები განსაზღვრულია რექტორის ბრძანებით.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

7.1. ის სამეცნიერო აქტივობები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესში, მათი დაფინანსებისა და სხვა წინაპირობები განისაზღვრება მხარეთა შორის შეთანხმებით, რისთვისაც აუცილებელია კვლევის ხელშეწყობის და პროექტების მართვის სამსახურისთვის წინასწარი წერილობითი მიმართვა.

7.2. წინამდებარე დებულება ძალაში შედის რექტორის ბრძანებით მისი მიღებისთანავე.

7.3. მოცემული დებულების შესრულებაზე ზედამხევდელობას ახორციელებს პრორექტორი კვლევით დარგში.

IBSU